

შპს დანი 2012

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404419704

რეგისტრაციის ნომერი,

თარიღი: 28.03.2012

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რ-ნი, ცაბაძის ქ. N2

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის დეკემბრის თვით დასრულებული წლისათვის

მსს ფასს-ის მიხედვით

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში _____ 3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება _____ 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _____ 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები _____ 6

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს დანი 2012 (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე დაშეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მსს ფასს“-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს“-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უარუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

• ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის ხელმძღვანელობის მიერ.

დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ბერუჩა ლუხუტაშვილი _____

შპს დანი 2012

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	4	4 242 140	3 663 537
რეალიზებული მარაგის თვითღირებულება	5	(1 403 636)	(1 207 160)
საერთო მოგება		2 838 504	2 456 377
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი	6	(1 500 805)	(1 537 844)
ფინანსური ხარჯი	7	(457 057)	(302 947)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		880 642	615 586
პერიოდის მოგება		880 642	615 586
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		880 642	615 586
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		880 642	615 586

ხელმოწერი პირები:

დირექტორი: ბერუჩა ლუხუტაშვილი _____

შპს დანი 2012

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის.
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	4	4 242 140	3 663 537
რეალიზებული მარაგის თვითღირებულება	5	(1 403 636)	(1 207 160)
საერთო მოგება		2 838 504	2 456 377
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი	6	(1 500 805)	(1 537 844)
ფინანსური ხარჯი	7	(457 057)	(302 947)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		880 642	615 586
პერიოდის მოგება		880 642	615 586
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		880 642	615 586
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		880 642	615 586

ხელმოწერი პირები:

დირექტორი: ბერუჩა ლუხუტაშვილი



ივანე სჭვილი

შპს დანი 2012

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში (ერთეული ლარი)	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2 282 148	2 538 383
საინვესტიციო ქონება	9		
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 282 148	2 538 383
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	334 742	49 372
სავაჭრო მოთხოვნები	11	32 434	87 359
გადახდილი ავანსები		0	493 728
მარაგები	12	108 751	117 002
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		475 927	747 460
სულ აქტივები		2 758 075	3 285 843
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		790 000	2 179 000
გაუნაწილებელი მოგება		(1 327 083)	(2 207 725)
სულ კაპიტალი		(537 083)	(28 725)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		2 948 086	3 086 895
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება		288 804	184 600
საგადასახადო ვალდებულებები		58 268	43 073
მიღებული ავანსები			
სხვა ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		347 072	227 673
სულ ვალდებულებები		3 295 158	3 314 568
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 758 075	3 285 843

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი: ბერუჩა ლუხუტაშვილი _____

შპს დანი 2012

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში (ერთეული ლარი)			
	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2 282 148	2 538 383
საინვესტიციო ქონება	9		
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 282 148	2 538 383
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	334 742	49 372
სავაჭრო მოთხოვნები	11	32 434	87 359
გადახდილი ავანსები		0	493 728
მარაგები	12	108 751	117 002
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		475 927	747 460
სულ აქტივები		2 758 075	3 285 843
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		790 000	2 179 000
გაუნაწილებელი მოგება		(1 327 083)	(2 207 725)
სულ კაპიტალი		(537 083)	(28 725)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		2 948 086	3 086 895
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება		288 804	184 600
საგადასახადო ვალდებულებები		58 268	43 073
მიღებული ავანსები			
სხვა ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		347 072	227 673
სულ ვალდებულებები		3 295 158	3 314 568
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 758 075	3 285 843

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი: ბერუჩა დუბოტაშვილი



იხსენიებული

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დანი 2012 (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2012 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, დიდუბის რ-ნი, ცაბაძის ქ. N2. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნე მომსახურება.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებელი:	2019 წ.	2018 წ.
ბერუჩა ლუხუტაშვილი	30 %	30 %
ლია ობოლაშვილი	70 %	70 %

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2 მომზადების საფუძვლები

2.1 მს ფასს-ის პირველადი გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. 2019 წელს კომპანია ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით ანგარიშგებას, შესაბამისად ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულს წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის

ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. აქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირება აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 3.2 შენიშვნაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად.

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვის გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შედა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო

ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება ნაშთის შემცირების მეთოდით, შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან განსხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.3 მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემქნასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომელიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს წარმოებისათვის სახარჯო მასალას და დაუმთავრებელ წარმოებაზე გაწეულ მასალის დანახარჯებს.

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში („ფიფო“) მეთოდით.

3.4 ამონაგების აღიარება

სამი ტიპის ამონაგების აღიარება ხდება: ამონაგები სარესტორნე საქმიანობიდან, ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან, ამონაგები სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან.

სარესტორნე საქმიანობიდან ამონაგების ამოღება ხდება გაწეული მომსახურების მიწოდების მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი, და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან (სამშენებლო ტექნიკა) ხდება თანაბარზომიერად (წრფივად) იჯარის მთელი პერიოდი განმავლობაში.

3.5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაჩეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

3.6 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშტების კონვერტაციისათვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2019	31.12.2018
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766

3.7 გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით

გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით. ხოლო 15 % -ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადი კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროები სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რაც პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან.

4. ამონაგები

ამონაგები საქმიანობიდან	4 242 140
სულ ამონაგები	4 242 140

5. რეალიზებული მარაგების თვითღირებულება

მარაგების ცვლილება	(8 250)
მარაგების შესყიდვა	(1 395 386)
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	(1 403 636)

6. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

შრომის ანაზღაურება	(619 718)
ცვეთა და ამორტიზაცია	(285 691)
კომუნ. ხარჯი	(255 751)
იჯარის ხარჯი	(4 661)
საბანკო ხარჯები	(43 954)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(224 745)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(1 434 520)

7. ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	(221 496)
ვალუტის გადაფასებით მიღებული ხარჯი	(235 561)
სულ ფინანსური ხარჯი	(457 057)

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ნაგებობები	სხვა	სულ
31/12/2018	577 591	1 551 883	408 910	2 538 383
შემოსვლა	0	0	31 270	31 270
გასვლა	0	0	1 815	1 815
ცვეთა	0	83 885	201 806	285 691
31/12/2019	577 591	1 467 998	236 559	2 282 148

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2019	2018
ფული საღაროში	244 850	161
ფული საბანკო ანგარიშებზე	89 892	49 211

10. სავაჭრო მოთხოვნები

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	32 434	87 359

11. მარაგები

	2019	2018
საწყისი მარაგები	117 002	95 986
საბოლოო მარაგები	108 751	117 002